

“სტრუპის ეფექტის” სავარაუდო მექანიზმის შესახებ ორი ჰიპოთეზის შემოწმება

ეკატერინე ათანელიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შემოწმდეს სტრუქტურის ეფექტთან დაკავშირებული ორი ჰიპოთეზა: 1. „სტრუქტურის ეფექტი“ ასახავს ცდის პირის უნარს, გადაიტანოს ყურადღება ერთი კოგნიტური პროცესიდან მეორეზე. თუ ეს ასეა, მაშინ სტრუქტურის ტესტს უკეთ გაართმევნ თავს ის ადამიანები, რომელთა პროფესია მჭიდრო კავშირშია ყურადღების სწრაფ გადანაცვლებასთან. 2. ინტელექტუალურად რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უკეთ ასრულებს სტრუქტურის ტესტს. თუ ეს ასეა, მაშინ „სტრუქტურის ეფექტი“ განსხვავებულად გამოვლინდება სხვადასხვა ინტელექტუალური დონის მქონე ადამიანებში.

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის სკოლის მოსწავლეებთან (VI-XI) და სიღნაღის რაიონის, სოფ. ტიბაანის სკოლის მასწავლებლებთან და ფერმერებთან. ყველა ცდის პირი დამოუკიდებლად ასრულებდა სტრუქტურის ტესტს. სკოლის მოსწავლეების ინტელექტუალური განვითარების დონე შეაფასეს მათმა მასწავლებლებმა (10 ქულიანი სისტემით).

კვლევის შედეგი:

- მასწავლებლებმა გაცილებით უკეთ შეძლეს სტრუქტურის ტესტის შერულება, ვიდრე ფერმერებმა;
- სხვადასხვა კლასის სკოლის მოსწავლეები არ განსხვავდებოდნენ სტრუქტურის ტესტის შესრულების ხარისხში. ამავდროულად, მოსწავლეთა შედეგები არ კორელირებს მასწავლებლების მიერ ამ მოსწავლეების ინტელექტუალური განვითარების დონის შეფასებასთან.

დასკვნა: „სტრუქტურის ეფექტი“ ასახავს ცდის პირის უნარს გადაიტანოს ყურადღება ერთი კოგნიტური პროცესიდან მეორეზე.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: „სტრუქტურის ეფექტი“, სელექტიური ყურადღება, ინტელექტუალური განვითარება.

Abstract

Current study aimed to check 2 hypothesis related to the Stroop Effect: 1. Stroop Effect reflects the ability of the subject to shift attention from one cognitive process to another. If so, subjects who are used to quick shifting of attention in their everyday professional activity should be better at the Stroop Test performance; 2. The higher is intellectual development of the subjects, the better is Stroop Test performance. If so, we should expect the difference in the Stroop Effect between the subjects with different level of intellectual development.

Experimental subjects – school pupils (6-12 grades) in Tbilisi as well as farmers of the village Tibaani and local school teachers were requested to perform Stroop Test. At the same time, intellectual abilities of school pupils have been assessed by their teachers using the 10 grade system scale.

Teachers were found superior to farmers in Stroop Test performance. School pupils did not differ in Stroop Test performance. At the same time, scores in the Stroop Test do not correlate with the assessment of pupils' intellectual abilities.

Stroop Effect reflects the ability of the subject to shift attention from one cognitive process to another.

Key words: Stroop Effect, selective attention, intellectual ability.